



საშავშვო ქრისტიანული ჟურნალი

1
2023



თავისუფალი ნება

ცხელა. შუბლი ოფლით არის დაცვარული, თუმცა საქმე წინ მიდის. ცოტაც და გავალთ ბოლოში. მშობლებიც კმაყოფილები იქნებიან იმით, რომ მთელი კარტოფილი გაემარგლეთ. დღეს განსაკუთრებული დღეა: დედასა და მამას ჩვენ კარტოფილის სამარგლაჟად არ გავუგზავნივართ. ჩვენ გავიგონეთ, როგორ ლაპარაკობდნენ ისინი ამის შესახებ ვაზშისას. მამა სულ დაკავებულია, დედაც დაღლილი ბრუნდება სამუშაოდან. „კარტოფილს ბალახი მოედო, — თქვა დედამ. — გასამარგლია...“

მე და ჩემი ძმა ჩვენს ოთახში ვაკვიდით, ორივეს ხელში წიგნი გვეკავა. უცებ ძმამ თქვა: „მოდი, ნუ მოვიცდით მანამდე, სანამ გვაიძულებენ ადგილში მუშაობას. მშობლებსაც ესიამოვნებათ და ჩვენც რაღაც კარგს გვაკეთებთ იძულების გარეშე, თავად, ჩვენივე ნებით.“ — „კარგი,“ — ყოყმანით დავეთანხმე უფროს ძმას.

როცა სამუშაო თითქმის დასრულდა (ადარაფერი იყო დარჩენილი და მალე შესაძლებელი იქნებოდა საგუბარზე წასვლა საბანაოდ და სათევზაოდ), მე მივხვდი, რომ გაცილებით სასიამოვნოა მუშაობა არა იძულებით, არამედ საკუთარი ნებით. მშობლებსაც როგორ გაუხარდათ!

ღმერთი პატივს სცემს ჩვენს თავისუფალ ნებას. მას უნდა, რომ ჩვენ ყველაფერს საკუთარი ნებით, ხალისით ვაკეთებდეთ. თვით ყველაზე არასასიამოვნოც კი, მძიმეა. მაგალითად, პატიების თხოვნა. არ არის საჭირო ვიცადოთ, სანამ ვინმე არ გვეტყვის: „დამნაშავე ხარ. წადი ითხოვე პატიება!“ გულში არ გვექნება ისეთი სიხარული იმ დროს, თუ პატიებას ვითხოვთ სხვების კარნახით. და თუ თავადვე მივხვდებით, თავს ვაიძულებთ სწორედ მოვიქცეთ, გული სიმსუბუქითა და სიხარულით აივსება.

ეს ასეა მთელს ჩვენს ცხოვრებასთან მიმართებით. ღმერთსაც ძალიან უხარია, როცა ჩვენ ყველაფერში ასე ვიქცევით. განსაკუთრებით სულიერ ცხოვრებაში. რა არის ეს? ეს არის ბიბლიის კითხვა, ღვთისმსახურებაზე დასწრება და საკვირაო სკოლაში სიარული, ლოცვა და ადამიანების დახმარება, განსაკუთრებით იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც სუსტები, მარტოები და ობლები არიან.

როცა ყველაფერს საკუთარი ნებით ვაკეთებთ, გულიანად, როგორც უფლისათვის, ჩვენი გული სიხარულითა და მშვიდობით ივსება. ყველაფერი ადვილი და ნათელი მოგვეჩვენება. ასე მეგობრობაც ადვილდება. მშობლებთან ურთიერთობაც უბრალო, სასიხარულო და თბილი იქნება, თუ ყველაფერს, რისი გაკეთებაც საჭიროა, ხალისით და არა იძულებით გვაკეთებთ.

ბიბლიაში დაწერილია: „ყოველფე, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ გულით, როგორც ღმერთისათვის და არა კაცთათვის. იცოდეთ, რომ მიიღებთ უფლისაგან მემკვიდრეობას საზღაურად. ემსახურეთ უფალ ქრისტეს“ (კოლ. 3:23-243).

მიიღე გადაწყვეტილება ყველაფერში და ყოველთვის ასე მოიქცე და არაფერი გექნება სანანებელი.

ბიზნისი ბამოსანები

კ. მ.

1.

მან მოისმინა ღმერთის ბრძანება და მაშინვე, უყოყმანოდ და ღიმილით, მხნედ შეუდგა შშენებლობას... შუბლზე თითებშემოწყობილ მოხუცს შერეკილად თვლიდა ყველა: „აბა გვაჩვენე სადმე თუ არის ღრუბელი, საით აპირებ გაცურვას ნეტავ?“ მას დასცინოდნენ, მაგრამ ის განაგრძობდა დაწყებულ საქმეს და იზრდებოდა მცურავი სახლი... რა მოხდა შემდეგ? — წვიმამ დაუშვა და მთელი დედამიწა წარღვნამ დაფარა. გადარჩა მხოლოდ ის თავის ოჯახთან ერთად.

2.

ის ვინ იყო, ვინც ღარაბებს ფართოდ ხსნიდა, და აკრძალვის მიუხედავად მუხლმოყრილი, დღეში სამჯერ უშიშრად მიმართავდა ღმერთს?

იქი თუ არა...

იცი თუ არა, რომ ვეშაპებს შეუძლიათ 100 დღე გაატარონ უძილოდ, და რვა თვე საკვების გარეშე?



3.

ეს კაცი უღაბნოში ცხოვრობდა და უცნაური სამოსელი ეცვა... მასთან გუნდ-გუნდად მიდიოდა ხალხი და ის მათ იორდანეში ნათლავდა. კალიებსა და ველურ თაფლს იყენებდა საკვებად. ვინ იტყვის მის სახელს?

ნახატი ი. პ.

სიძარტლე სიგარეტის შესახებ

დ. ბ.

მე ვარ - სიგარეტი. შეიძლება ფიქრობ, რომ მე (ასეთ პატარას, თეთრსა და მსუბუქს) არანაირი ზიანის მიყენება არ შემიძლია! ცდები! მე ძალიან ცბიერი და შხამიანი ვარ! თეთრი ქაღალდი ფარავს იმ შხამს, რომელიც ჩემს შიგნით არის. შემიძლია ადამიანი ჩემს მონად ვაქციო! ყველა, ვინც ეწევა, ჩემს ხაფანგში ხვდება. ჩემში არსებული ნიკოტინი მას შხამიან ბორკილებს ადებს. თუნდაც მცირე ხანს ეწეოდეს, ადამიანი ჩემზე დამოკიდებული ხდება. სიგარეტის მოქაჩვის შემდეგ ნიკოტინის პირველი დოზა ტვინში 10-20 წაშში აღწევს. თამბაქოს ბოლის შხამიანი ნივთიერებები ხვდება ფილტვებში და იქ შავი ლაქები ჩნდება.

მისთვის, ვინც, ვთქვათ ერთი ფორთოხალი შეჭამა, შემდეგ კი ერთი ღერი სიგარეტი მოსწია, სულ ერთია, თითქოს არც შეეჭამოს ეს ფორთოხალი, ვინაიდან თამბაქო - ვიტამინების მკვლელია. არ არსებობს ისეთი სიგარეტი, რომელსაც არ მოაქვს ზიანი! ზოგიერთები მხოლოდ გარეგნულად გამოიყურებიან უწყინარად, მათ ბოლს არომატული გემო აქვს, სინამდვილეში ისინი შხამით არიან სავსენი. მწვეელი მოქაჩავს სიგარეტს და უშვებს ბოლს, შხამიანი ნივთიერებები კი თანდათან გროვდება სასუნთქ გზებში, ფილტვებში, არღვევს გულის მუშაობას, ასუსტებს მახსოვრობას, ცვლის კანისა და კბილების ფერს. თამბაქოს ბოლი არღვევს ფილტვების თვითგაწმენდის ბუნებრივ პროცესს, და საზიანოა ყველასთვის, ვინც მას შეისუნთქებს. მწველების გვერდით განსაკუთრებით სახიფათო ბავშვებისა და ორსული ქალების ყოფნაა.

თამბაქოს ბოლი ორი სახისაა: ძირითადი და მომყოლი. ძირითადი ბოლი ის არის, რომელსაც მწვეელი შეისუნთქავს, შემდეგ კი გარეთ უშვებს. მომყოლი ბოლი კი ამოდის ჩიბუხიდან, ანთებული სიგარეტის ან სიგარის ბოლოდან. მომყოლ ბოლში უფრო მეტი ზიანის მომტანი ნივთიერებებია. იქ მათი კონცენტრაცია გაცილებით მეტია, ვიდრე იმ ბოლში, რომელსაც შეისუნთქავს და ამოისუნთქავს მწვეელი. „კარგი თამბაქოა!“ - ფიქრობენ ადამიანები, ამასობაში კი თამბაქოს ბოლი შედის მათში და შეაქვს სნეულებები: ქრონიკული ბრონქიტი, კუჭის ლორწონიანი გარსის ანთება, კუჭის წყლული, ფილტვების, ტუჩების, ენის, პირის ღრუს და ბევრი სხვა ორგანოს კბო. თამბაქოს ბოლი ამცირებს ადამიანის სიცოცხლეს.


წვეით გამოწვეული სნეულებების შედეგად ყოველწლიურად მსოფლიოში ხუთ მილიონ ადამიანზე მეტი კვდება. მწვეელი ადამიანი ჰგავს იმ გემს, რომელიც იძრება, იძირება და თან იყოლიებს იმ ადამიანებსაც, რომლებიც მასზე იმყოფებიან.


მე, სიგარეტმა, მთელი სიძარტლე მოგიყვებით ჩემს შესახებ. ახლა კი ვუბრუნდები ჩემს კოლოფს, რომელსაც აწერია: „მოწევა კლავს.“ ცოტას წაუძინებ, მოვიცდი, სანამ ვინმე არ გამაღვიძებს და არ გაებმება ჩემს საცეცებში...

და აი, ვიღაცამ მომკიდა თითები და ამომიღო კოლოფიდან. ასანთიც გაჰკრა, დანარჩენი თქვენც იცით....

თარგმანი ლიტვურიდან ნ. ი.

ნახატი ა. პ.





1. სად მოხვდნენ ანანი და ევა სიხვილის შაშაებ?

ლიცია ხ. ქ. ბაჩიანასაჲ, უახანინა).

აღამი და ევა ცოდვილი ადამიანები იყვნენ. ცოდვილი კი ვერ მოხვდება წმიდა ღმერთთან ზეცაში. შეიძლება, მათ მოინანიეს ღმერთის წინაშე თავიანთი ცოდვები და თვითნებობა, და ღმერთმა მიიღო ისინი თავისთან. ადამიანები, რომლებიც იესო ქრისტეს მოსვლამდე ცხოვრობდნენ დედამიწაზე, ასევე ღმერთის მიტევებისა და გამოსყიდვის რწმენით პოულობდნენ ხსნას. მით უმეტეს, რომ ღმერთმა აღამსა და ევას მისცა იმედი, რომ მათი შთამომავალი, ანუ ქრისტე, შემუსრავდა სატანას (იხ. დაბ. 3:15).

2. ახანია, ჩოა ანა ვილსოთი ილით და სლანოს, ანაე?

ლიცია ა. ს. დეახივანა, უახანინა).

მოდით ვიფიქროთ: თუ გიყვარს მშობლები, მათთან დღეში მხოლოდ ორჯერ ლაპარაკობ? ხომ გინდა, რომ ხშირად გკონდეს ურთიერთობა? ასევეა ღმერთთანაც. ისინი, რომლებიც გახდნენ ღვთის შვილები იესოს რწმენით, ყოველთვის ისწრაფიან გული გაუხსნან მას ლოცვაში. ლოცვა ხომ საუბარია ზეციერ მამასთან. ჩვენ სულ გვჭირდება მისი დახმარება, რჩევა, წინამძღოლობა და ნუგეში. ამიტომაც გვირჩევს ბიბლია: „განუწყვეტლო ილოცეთ“ (1 თეს. 5:17); „ილოცეთ ყოველჟამს სულით...“ (ეფ. 6:18). ეს ნიშნავს, რომ ჩვენი გული ყოველთვის უნდა იყოს კავშირში უფალთან. ხშირად უნდა ვილოცოთ, ანუ ვილაპარაკოთ მასთან ხმამაღლა და აზრებში. დილით და საღამოს კი შეგვიძლია განმარტოვდეთ ჩვენს ოთახში და მიემართოთ ღმერთს მუხლმოყრილებმა, მოუყევით მას ჩვენი სიძნელეების შესახებ, ვთხოვოთ რჩევა და კურთხევა, ასევე პატიება ცოდვებისა და შეცდომებისათვის, ბოლოს კი მაღლობა მოუხადლოთ მას და განვადილოთ ის.

3. ეფაიონა მოხვინათვის, ჩახოა ახ აიჩინა იესო ჩელი ჭყყანა?

იჩინა ა., ს. მოჰოლანსანსიჰოვანა, უახანინა




ღმერთს უნდა მოეზადებინა ადამიანები ღვთის მის - ქვეყნიერების მხსნელის - მოსასვლელად. ამისათვის ადამიანებისათვის უნდა მიეცა რჯული (ათი მცნება), რათა ადამიანებს დაენახათ ღმერთის წმიდა ზნეობრივი კანონები და გაეგოთ თავიანთი ცოდვიანობა. ადამიანებს უნდა გაეგოთ, რომ ისინი ცოდვილები არიან და არ შეესაბამებიან ღვთიურ მოთხოვნებს, არ შეუძლიათ შეასრულონ ღმერთის მცნებები და საჭიროებენ მხსნელს. ამიტომაც არის დაწერილი ბიბლიაში, რომ როცა დადგა ჟამის სისავსე, ღმერთმა გამოგზავნა თავისი ძე ქვეყნიერებაზე (გალ. 4:4).

ღმერთის გამოცხადება თავდაპირველად ერთ კაცს - აბრაამს, - გადაეცა, რომელსაც სწამდა ის და ეძებდა მას მთელი თავისი გულით. ღმერთი ეცხადება თავის მადიებლებს. აბრაამისგან ღმერთმა წარმოქმნა ხალხი (ისრაელი), რომელსაც უნდა დაეცვა ღმერთის გამოცხადებები და დალოდებოდა მესიას - ქრისტეს. მიწიური ხაზით ქრისტე აბრაამის შთამომავალია. ღმერთმა აღუთქვა აბრაამს, რომ მის თესლში იკურთხებიან ყველა ხალხები და აღასრულა დანაპირები. ყველა მორწმუნე იკურთხება ერთგულ აბრაამთან ერთად მისი დიდებული შთამომავლის - იესო ქრისტე მიერ.

პასუხები მ. კ.

ნახატი ვ. დ.



იონათანის პრეჟანი

პ. ც.

ერმიტაჟში, სანკ-პეტერბურგის ყველაზე დიდ მუზეუმში, რომელიც ზამთრის სასახლეში მდებარეობს, — არის ერთი განყოფილება, რომელშიც გამოფენილია დიდი ჰოლანდიელი მხატვრების ტილოები. დამთვალიერებლების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რემბრანდტის ნახატები. თუ თქვენ მოინახულებთ ამ მუზეუმს და დაინახავთ ტურისტების გუნდს ერთ-ერთ ნახატთან, სავარაუდოდ ეს იქნება ტილო სახელწოდებით „უძღები ძის დაბრუნება“ ანდა რომელიმე ნაწარმოები ბიბლიურ თემაზე. იქვეა შესანიშნავი ნახატი „დავითი და იონათანი.“ გენიალური მხატვარი გადმოგვცემს დავითთან (ვინც დაამარცხა გოლიათი და გახდა ისრაელის გმირი) იონათანის (ისრაელის პირველი მეფის საულის მემკვიდრის) მეგობრობის ისტორიის ყველაზე დრამატულ მომენტს.

ბიბლიაში მოთხრობილია ამ ორი ახალგაზრდა ადამიანის მეგობრობის შესახებ. მეფე საულმა შური ჩაიღო გულში ბეთლემელი ყმაწვილკაცის მიმართ, ვისაც ღმერთმა გამარჯვება უწყალობა ბუმბერაზ გოლიათზე. საულისაგან განსხვავებით იონათანი დაუმეგობრდა ახალგაზრდა გმირს და ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ. საულს სწყინდა შვილის საქციელი. „რატომ მეგობრობ დავითთან? — აღშფოთებული ეკითხებოდა იონათანს. — ის, შენ ტახტს წაგართმევს დღეს თუ ხვალ!“ — „დავითი არც შენ და არც მე არასოდეს გვიბოროტებს! — პასუხობდა იონათანი დარწმუნებით. — ჩვენ ერთმანეთს სამუდამო მეგობრობა შევფიცეთ!“ — „აი ნახავ, შვილო, მოგიწევს არჩევანის გაკეთება: ან იყო მეფე ისრაელში, ან იმეგობრო დავითთან!“ ერთხელაც საულმა დავითი მიიპატიჟა სამეფო სუფრაზე. მაგრამ არა იმიტომ, რომ მისთვის პატივი ეცა, არამედ


ნახატი ლ. გ.

იმისათვის, რომ მოეკლა, რადგან მასში მეტოქეს ხედავდა. დაეითმა სთხოვა იონათანს, რომ მისი სახელით მოებოდიშებინა მეფესთან და არ წავიდა სადილზე. მეფის ქცევით იონათანს უნდა გაეგო, რა ჩაიფიქრა მამამისმა. მეგობრებმა მოილაპარაკეს იმის შესახებაც თუ როგორ შეატყობინებდა იონათანი დავითს მამამისის განზრახვის შესახებ.

დაინახა რა, რომ მაგიდასთან დავითის ადგილი ცარიელი იყო მეორე დღესაც, მეფემ ჰკითხა იონათანს, სად იყო მისი მეგობარი. განურისხდა საული იონათანს და უთხრა, რომ დავითს გარდაუვალი სიკვდილი ელოდა. ამგვარად შეიტყო იონათანმა, რომ მამამისის ბოროტს იზრახავდა დავითის წინააღმდეგ. მან გააფრთხილა მეგობარი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ურჩია: „წადი ქვეყნიდან, ვინაიდან მამაჩემი მოკვლას გიპირებს, ეშინია შენი!“

როგორ ვიპრობ?

1. ვინ იყო პირველი მეფე ისრაელში?
2. რატომ გადაწყვიტა მეფემ დავითის მოკლა?
3. რა იყო იონათანისთვის უფრო მნიშვნელოვანი სამეფო პატივი თუ მეგობრობა ღმერთის მორწმუნე დავითთან, ვინც მართლაც გახდა ისრაელის მომავალი მეფე?



„შენ იცი, რომ ყოველთვის ერთგული ვიყავი მეფისად და შენიც, მეგობარო! — მიუგო დავითმა. — მაგრამ ვხედავ, რომ ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოდის. მომიწვევს წასვლა.“ მეგობრები უკანასკნელად გადაეხვივნენ ერთმანეთს და ცრემლი მოეძალათ. მეფის შური არ აძლევდა მათ საშუალებას ყოფილიყვნენ ერთად; ერთად ეგალობათ ღმერთისთვის ის საგალობლები, რომელთაც დავითი თხზავდა. ერთად ეართ სანადიროდ და ლაშქრობა მოეწყობათ ფილისტიმელებზე.



გამომშვიდობების სწორედ ეს მომენტი ალბეკდილი რემბრანდტის ტილოზე. ამ ისტორიის წაკითხვა კი შეგიძლიათ მეფეთა პირველ წიგნში 18-20 თავებში.





როცა მთხარე

“გარდაიცვლება”

VI

ცდუნება ძალზე დიდია

შემდეგ ოთხ დღეს მამა სახლში იყო და არც ოპიუმი მოუწვია. მან კალათის დაწვნა დაიწყო ბამბუკის თხელი ტოტებისგან. დიდიხანია ეს აღარ გაუკეთებია. შიშში და დაძაბული ცხოვრობდა ოჯახი. დღე და ღამე იმ მოლოდინით, რა იქნებოდა შემდეგ. ღამე კი, რომელშიც მთვარე “გარდაიცვლება” შეუმჩნეველი იქნებოდა. ეს ღამე ახლოვდებოდა.

ბეიმ მალე შეამჩნია, რომ თანასოფლელები მათი ოჯახის ბავშვებთან არ ურთიერთობდნენ. ძოგჯერ ისინი ჩუმად იკრიბებოდნენ. ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, მაგრამ როგორც კი ბეი გამოჩნდებოდა, ჩუმდებოდნენ. ამაზე ხომ არ ლაპარაკობდნენ? ლონგმა მოიბრინა:

— ოჰ, ეს საძაგელი!

— რა მოხდა? — ჰკითხა ბეიმ.

— მათ არ სურთ ჩემთან თამაში და მეუბნებიან: “ლონგ, წადი სახლში, ოპიუმი მოწიე!” — ტირილით უამბობდა ძმას.

ბეიმ მაშინვე ვერ შეძლო პასუხის გაცემა. ბოლო დღეებში შეამჩნია, რომ მასთანაც არავის სურდა თამაში.

— წავიდეთ სახლში ლონგ!


სახლთან მოახლოებისას მათ სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმათ. იქნებ უფროსი ბიძა მოვიდა? სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო? რამდენიმე წუთის წინ მამა მარტო იყო.

ბეი კიბის თავზე აძვრა და ჩაბნელებულ ოთახში იჭვრიტებოდა. ცეცხლთან ოთხი კაცი ისხდნენ და სიცილით ლაპარაკობდნენ. ბეის გული გაეყინა, როცა ერთმა მათგანმა ჩანტიდან მოსაწვევი მილი ამოიღო და მამას გაუწოდა.

— არა — თქვა მამამ, — მე მეტად აღარ მსურს ოპიუმი. თქვენ შეგიძლიათ მოწიოთ, მე მხოლოდ გიყურებთ.

— რა, შენ მეტად აღარ ეწევი? როდიდან? ნახე, რა მხიარულები ვართ, შენ კი მოწყენილი. აიღე, ნუ ხარ მშიშარა!

— დიახ — დაიწყო მეორე სტუმარმა — გახსოვს, როგორ ვმხიარულობდით, როცა შენ კამეჩი ოთხიათას ბათად გაყიდე? მაშინ საკმარისად გვქონდა ოპიუმი! დღეს ჩვენ გაგიყოფთ, აიღე, გეპატიჟებით!



— მე გადავწყვიტე, აღარ მოვწიო
ოპიუმი. აღარც ფული მაქვს მცი-
რედენის საყიდლადაც კი. სოფელში
აღარ შემიძლია ვიქურდო, ყველა გაბრაზე-
ბულია და მემუქრებიან.

— ნუ განიცდი, — დაამშვიდეს მამაკაცებმა —
ჩვენ საკმარისი ოპიუმი გვაქვს. წამოდი ჩვენთან ერთად
სოფელში, დანარჩენი მერე გამოჩნდება, აიღე ოპიუმი, ნუ
გეშინია!

მამამ დაუფიქრებლად აიღო მოსაწვევი მილი. ბეის უნდოდა ეყვი-
რა: “არა, არ გააკეთო ეს!” — მაგრამ ყელი გაუშრა და ვერ წარმოთქვა
ვერცერთი სიტყვა. გული ძალუძად უბგერდა, იმის გამო, რაც ქონში ხდე-
ბოდა. ის კი ვერავინ შეამჩნია.

— შემდეგში ალბათ მეტი სიფრთხილე მჭირდება, როცა კვლავ მომინდება
მოწვევა, რომ ვერავინ დამინახოს — წყნარად ლაპარაკობდა მამა.

ოჰ, რა კარგია! ახლა აღარ მჭირდება იმაზე ფიქრი, როდის “გარდაიცვლება” მთვარე.
რა კარგია, ყველაფერი დაივიწყო.

თავი VII

ბეი ლონგს უყურებდა, ტიროდა და კისერში ჩასდიოდა ცრემლები. ბიიმაც გაიღვიძა და
ტირილი დაიწყო.

— ნუ ტირი, ბიი, მე ჩაგიყვან დაბლა. ბეიმ ხელში აიყვანა პატარა დაიკო და ზურგზე მოიბა.
წყნარად გავიდნენ ქონიდან. ბეი თვალს ვერ უსწორებდა ხალხს. მათ რომ სცოდნოდათ... უცებ
მას გაახსენდა თეთრი ქალის სანდომიანი ღიმილი, ვისგანაც გაიქცა. ვერც კი შეამჩნია, როგორ
გასწიეს ფეხებმა მისიონერების სახლისკენ მიმავალ გზაზე. კარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო.

— იქ, შიგნით ჩვენი ხალხი ზის — შეამჩნია ბეიმ, — ჩვენი ქვეყნის ხალხი, მხოლოდ მთიელე-
ბი. რას აკეთებენ აქ?

ბიიმ ტირილი შეწყვიტა, შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ სახლს იმ მანძილზე, რომ შეეძლოთ
შიგნით შეხედვა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც თავიანთ სახლში, მხოლოდ უფრო
ნათელი იყო. და რა ლამაზი სურათები ეკიდა კედელზე!

— შეხედე იმ სურათს, რა ლამაზი ყვაილებია!

— წაუჩურჩულა ბეიმ თავის ძმას. — მხოლოდ ის გველი, თითქოს შიშს გვრიდა. ხედავ, კაცს
შემოეხვია, ჩვენს მსგავსს, ტანსაცმელიც ჩვენნაირი აცვია: წითელი პერანგი, შავი შარვალი.
ბეის შიში დაავიწყდა მისიონერებთან და ხმამაღლა იკითხა:

— საინტერესოა, გველი უკბენს ადამიანს?

— შემოდით ბავშვებო, — თქვა მისიონერმა ქალმა, — ახლოდან ნახეთ სურათი, მე კი ავიხსნით.

ბეიმ ვერ გაბედა შესვლა. სულებმა რომ დამსაჯონ, მაგრამ შიგნით უკვე იყვნენ თანასოფლელები. მათ თუ არ ეშინიათ, არც მას უნდა ეშინოდეს. დიდიხანია ასე სასიამოვნოდ არავის ულაპარაკია, როგორც ამ მისიონერ ქალს.

ბავშვები სახლში შევიდნენ და ყურადღებით უსმენდნენ საუბარს სურათზე გამოსახულ გველზე. როგორ გაოცდნენ, როცა ქალმა სხვა სურათიც უჩვენა, სადაც გველი მიწაზე წევს, ადამიანი მის სიახლოვეს თავისუფალი და ბედნიერია.

ბეი დაფიქრებული იყო: როგორ შეეძლო ადამიანს გველის მოკვლა? იყო ის განსაკუთრებით ძლიერი, თუ მაგიური ძალით გაიმარჯვა მასზე? მასაც სურს ასეთი ძლიერი იყოს.

გაგრძელება იქნება.

ნახატი თაკო მაისურაძე



თავდაჯერებული ბუხუ

პ. უ.



საჩიოდან "ქიპოქოქოთა ბუხუ
თავდაჯერებული".

კალი და ტალი ჩქარობდნენ მისულიყვნენ მგოგოს სახლთან. იქ, ისინი შეხვდნენ ტემბოს, დენას, ელიზაბეთსა და იუდიტს, რომლებიც არაქისის შებრაწვას აპირებდნენ.

— იცით, ჩვენს ოჯახში პრობლემაა, — თქვა კალიმ. — ბიძია მუკამუ ძალიან ჯიუტია. ჩხუბობს და არ უნდა, რომ აცრან.

— მოდით, ყველა ერთად მივიდეთ მასთან და დავველაპარაკოთ, — წინადადება წამოაყენა ტემბომ.

— ვშიშობ, ეს არ გასჭრის. ის — ეწინააღმდეგება თანამედროვე მედიცინას.

— ჰო მაგრამ, ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ის, — თქვა ტემბომ.

— არაფერი გამოვა. ჩხუბს დაგვიწყებს, — ამოიხრა ტალიმ.

თუმცა ბავშვებმა მაინც გადაწყვიტეს მისულიყვნენ ბიძია მუკამუსთან. ისინი გამოვიდნენ ბილიკზე, რომელიც დიდ ბაობაბებთან მიდიოდა. ტემბო წინ უძღოდა მათ და დაინახა ჩრდილში მჯდარი ბიძია მუკამუ. მიესალმა:



ნახტი ე. პ.

— გამარჯობათ ბიძია მუკამუ! ჩვენ მოვედით, რათა გაიმბოთ ყვავილის ეპიდემიის შესახებ. ეს საშიში დაავადებაა, რომელიც...

— გაჩუმი! — გააწყვეტინა მუკამუ.

— ჰო მაგრამ, ეს ხომ ძალიან ადვილია — გავაჩეროთ სნეულების გავრცელება, — გაიღიმა ელიზაბეთმა. — ამასთან ერთად სულაც არ არის მტკიცენი. მხოლოდ მცირე განაკაწრი კანზე...

— არაფრის მოსმენა არ მინდა, — გაჯიუტდა მუკამუ.

— შეიძლება მართალიც ხართ, ბიძია მუკამუ, — თქვა იუდიტმა, — ხელი გამოსივდა მას შემდეგ, რაც ექიმმა ამცრა, მაგრამ იქნებ მაინც. ...

— არაფრის მოსმენა არ მინდა ამგვარ დახმარებაზე, — თავისაზე იდგა მუკამუ.

— მე კი ორი დღე არაფრის ჭამა არ შემეძლო, მაგრამ... მუკამუმ სიცილი დაიწყო, არ დააცადა ტალის ბოლომდე ეთქვა სათქმელი. ელიზაბეთმა აჩვენა თავისი ხელი:

— შეხედეთ, მხოლოდ პატარა ნაწიბური დარჩა. მაგრამ ამ აცრის წყალობით, მე ყვავილი აღარ შემხვდება.

— ვითომ? — უხეშად იკითხა მუკამუ. — ვითომ? შენ რა ზუსტად იცი ეს?

— ეს ექიმის დიდ წიგნში წერია.

— საიდან იცი, რომ წიგნი არ ტყუის?! წადით და ცხვირს ნუ ყოფთ სხვის საქმეში! მე ამას არ გავაკეთებ!

— ჩვენ გვინდოდა თქვენი გაფრთხილება, ბიძიამ მუკამუ, — თქვა კალიმ.

მუკამუმ თავისი დიდი ხელჯოხი გააჩნია და ბავშვები გაიფანტნენ. საღამო ხანს ბავშვები ჯუნგლების ექიმის თანაშემწე დაუდის მოუყვნენ ამ შემთხვევის შესახებ.

— თქვენ ყველაფერი სწორად გააკეთეთ. ძალიან მნიშვნელოვანია მისი გაფრთხილება. აი ასეთი ამბავი გადახდა ჰიპოპოტამ ბუხუს, როცა მან, ყურადღება არ მიაქცია სპილოს გაფრთხილებას და გადაწყვიტა, რომ ეს მას არ ეხებოდა?

— გვითხარი რა დაემართა მას, დაუდი.

ბავშვები ჩამოსხდნენ ბაობაბის ქვეშ და მოსასმენად მოეშადნენ.

— აი, რა მოხდა... — დაიწყო მოყოლა დაუდიმ.



მთების შორიახლოს, რომელთა წვერებიც ღრუბლებში იკარგებოდა, დაიწყო ჭექა-ქუხილი და წამოვიდა თქეში. გაჩენილმა ნაკადებმა სწრაფად დაიწყეს გზის გაკვლევა ჯუნგლებში.



სპილო ნემბომ ხმამაღლა დასძახა, რაც განგაშის მაუწყებელი იყო. ეს სიგნალი ჯუნგლებში ყველამ გაიგო. ისინი, რომლებსაც გონება უჭირდათ მაშინვე გაეშურნენ მთებში, რათა უსაფრთხოდ



ყოფილიყვნენ წყლისგან. თუმცა იყვნენ ისინიც, რომლებმაც მიუხედავად იმისა, რომ გაიგეს განგაშის ხმა, არაფერი იღონეს საკუთარი უსაფრთხოებისათვის. მათ შორის იყო აფთარი მბზინცი, რომე-



ლიც თავისივე გამოთხრილ სოროში იწვა მდინარის შორიახლოს. სოროში გრილ-და. აქ მბზინცი ბლომად ჰქონდა სახრავი ძვლები. „ნუთუ ნემბოს ჰგონია, რომ ამ ყველაფერს მიატოვებ აქ?“ — აღშფოთდა



ის და ყურები თათებით დაიცო. მას არც ჭექა-ქუხილის ხმის მოსმენა სურდა და არც განგაშის ხმისა. არც მეორე აფთარი სლინიკი აქცეკვდა ნემბოს მიერ გამოცემულ განგაშის ხმას ყურადღებას. მან ზურგი



შეაქცია შავ ღრუბლებს და მთვარეს მი-აშტერდა. „ვის რაში სჭირდება ეს ნემბო? — გაიციანა სლინიკი და კლდის შვერილის ქვეშ მოიკუნტა.“



აქამდე წყალი ვერ მოაღწევს, რიდასი უნდა მეშინოდეს? ასეთები ბევრი მინახავს ცხოვრებაში. მდინარეს არასოდეს ამოულწევია ამ ადგილამდე.“ ნემბოსგან გამოცემული სიგნალი სულ



უფრო ხმამაღალი და გულმოდგინე ხდებოდა. სლინიკის ესმოდა ის, მაგრამ ადგილიდან არ იმძრეოდა, ძილი დააპირა. ჰიპოპოტამ ბუხუსაც ესმოდა ნემბოს მიერ გამოცემული ხმები.



„რა ხდება?! — გაიფიქრა ბუხუმ. თქეში წყალს აამდერევეს და გააჭუჭყიანებს, რაც ჩემს ცხვირს ნამდვილად არ მოეწონება. მე სუფთა წყალი მიყვარს, რომელშიც შეიძლება ცურვა.“



რა ხდება, რისი თქმა სურს ნემბოს? საფრთხე გვეუქრება? ავიდეთ მთაზე, სადაც უსაფრთხოდ ვიქნებით?..“ მას აფიქრებდა სხვების უსაფრთხოება და ამიტომაც თქვა: „იმედია მოისმენენ მის ხმას.“



სხვებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მე ხომ სხვანაირი ვარ. თევზივით ვცურავ. ხანდახან წყალში ყოფნა უფრო მომწონს, ვიდრე ხმელეთზე. ნეტავ, ყველამ მოუსმინოს სპილოს, კარგი იქნება!“



ნათქვამი სიტყვების დასამტკიცებლად ბუხუმ ფსკერამდე ჩაყვინთა. „რა ლამაზად იყურება ელვა ფოთლების ღიობებში! — გაიფიქრა მან.“



— იმედი მაქვს მარტორქა ფარუ მოუსმენს ნემბოს. ფარუ ისეთი თავდაჯერებულია, რომ ხშირად ხასიათზეც არ არის. მე კი... „მოულოდნელად ჰიპოპოტამი გვერდზე გადავარდა, თითქოსდა ვინმემ ხელი ჰკრა.



„შეწყვიტე! — წამოიძახა ბუხუმ. — რას აკეთებ?“ თუმცა ის კვლავ ხან ერთ მხარეს აწყდებოდა ხან მეორეს. ბუხუმ მწვავე ტკივილი იგრძნო უკანა ფეხებში. და კიდევ ერთი დარტყმის გამო, ის



კვლავ ამოტრიალდა წყალში. ეს დარტყმა ექვსი სპილოს დარტყმის ძალისა იყო. ბუხუს მოეჩვენა, რომ ფილტვები ჰაერი-საგან დაეცალა. ის მიხვდა, რომ განგაშის სიგნალი, რომელსაც ნემბო იძლეოდა,



მასაც ეხებოდა. ბუხუ კვლავაც წყალში რჩებოდა, ჰაერი კი ფილტვებში თითქმის გამოეღია.



მის გარშემო წყალი ტრიალებდა. ის ზედაპირზე ამოაგდო წყალმა. ძალაგამოცლილი ბუხუ ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, თუმცა პირი წყლით ევსებოდა. ახველებდა და აცემინებდა და უცბად — ბახ!



აზრები გაუწყდა. დიკ-დიკმა, რომელიც გორაზე იმყოფებოდა, დაინახა, როგორ ამოცურა ბუხუმ აბობოქრებული წყლიდან, როგორ შეეცადა წყალს ზედაპირზე მოჰქცეოდა და გაეცურა, როგორ დაე-



ჯახა თავით ქვას და როგორ გადმოაგდო იგი წყალმა ხმელზე. ის ხედავდა, რომ ბუხუ გაუნძრევლად იწვა, მისი თავი კი ქვაზე იდო.



წყალი მატულობდა და უკვე მიაღწია იმ ადგილს, სადაც ბუხუ იწვა. დიკ-დიკი თავზარდაცემული აკვირდებოდა, თუ როგორ იძირებოდა მისი ნესტოები წყალში.



ის შეიძარათა და გამალებული გაეშურა დაბლა. გადაახტა რამდენიმე დიდ გუბეს და ბუხუსთან შეჩერდა, სწორედ იმ დროს, როცა მისი ნესტოები თითქმის



დაფარა წყალმა. ანტილოპა შეეცადა ჰიპოპოტამის ნესტოები გაეთავისუფლებინა წყლისგან, რათა მას ესუნთქა. მაგრამ ვერ მოახერხა. წყალი მატულობდა.



დიკ-დიკმა ჩაისუნთქა და წყალქვეშ შეეცადა წამოეწია ბუხუს დიდი თავი. მისი თავი ძალიან მძიმე იყო და ცხადია ვერ ასწია ის. მაგრამ ანტილოპა არ ყრიდა



ფარ-ხმალს. იგი თავისი პატარა, მაგრამ ძლიერი ფეხებით ეძებდა საყრდენს, სანამ არ იპოვებდა ის. მას მოეჩვენა, რომ ბუხუს თავი ცოტათი აიწია.



მან კიდევ ერთხელ სცადა აეწია მეგობრის მძიმე თავის წყლის ქვეშ, ამჯერად მან ეს მოახერხა. თუმცა ხვდებოდა, რომ დიდხანს ვერ შესძლებდა მისი თავის დაჭერას წყალს ზემოთ.



მისი მუსკულები დაძაბული იყო, მწვავე ტკივილს გრძობდა მუხლებში და წელში. და ამ დროს დიკ-დიკმა გაიგონა ჩლიქების ხმა. ხმაზე იცნო, რომ ეს ჟირაფი იყო. მისმა გრძელმა კისერმა გაათავისუფლა



ანტილოპას პატარა მხრები ტვირთისგან. „სცადე რაიმეზე დააყრდნო მისი თავი!“ — ურჩია ტვიგამ. დიკ-დიკმა დიდი ტოტი იპოვა და ნიკაპქვეშ ამოუდო ბუხუს. „საწყალი ბუხუ,—ამოიოხრა



ტვიგამ. — ძალიან დაზარალდა. ვინც სერიოზულად არ იღებს განგაშის სიგნალს, ის უსიამოვნებებში ხვდება. ხომ ყველამ მოისმინა ნემბოს ხმა: „თავი გადაირჩინეთ!“ ვინც მოუსმინა მას ისინი



ახლა უსაფრთხოდ იმყოფებიან.“ „სხვებს რაღა დაემართათ, რომლებმაც ყურად არ იღებს განგაშის ხმა?“ — აღელვებულმა იკითხა დიკ-დიკმა. ტვიგამ მწუხარედ გააქნია თავი, დაეინახე, როგორ



მიაქანებდა მათ აბობოქრებული ნაკადი. ალბათ მათ ჰქოდათ მიხეხები, რის გამოც უგულვებლევებს განგაშის სიგნალი. ალბათ თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ მისი მიხეხი— ნამდვილად სერიო-



ზული იყო.“ ამ დროს ბუხუმ ნელა გაახილა თვალები და დაამთქნარა. „დიკ-დიკ, ნახე ხომ არაფერი სჭირს ბუხუს!“ თქვა ტვიგამ. ბუხუმ რაღაცის თქმა დააპირა პასუხად, თუმცა ხმა არ ემორჩილებოდა.



ბოლოს როგორც იქნა ამოღერდა: „ხომ არაფერი სჭირსო“? მე ვიფიქრე, რომ სპილოს გაფრთხილება მე არ მქებოდა. ო, ო, ოპ...“ ბუხუ ძლივს წამოდგა, წაჩანჩალდა დიდი გუბისკენ და ზღართან



მოაღინა წყალში. ჯუნგლების მრავალ მცხოვრებთა საპასუხოდ, რომლებიც ჰიპოპოტამის გვერდით ჩაივლიდნენ ზოლ-მე, და ჩერდებოდნენ, რათა შეეხედათ და მისთვის რაიმე ეკითხათ, ბუხუ მხოლოდ ნახატი ი. პ.



ხმამაღლა ოხრავდა „ო-ო-ოხ...“ როგორ ფიქრობთ, გამოიტანს ბუხუ ამ შემთხვევიდან გაკვეთილს და მოუსმენს განგაშის სიგნალს შემდეგში? — ჰკითხა დიკ-დიკმა ჟირაფს. ტვიგამ ფიქრიანად



დაზარა თავი და თქვა: „ვინ იცის... ერთი რამე კი ცხადია: ის, ვინც უსმენს ნემბოს ხმას და მიჰყვება მის რჩევებს, არასოდეს და არსად აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში.“

იქი თუ არა...
რომ სპილოებს ყველაზე
დიდი ტვინი აქვთ ხველეთზე
მოსიარულე ცხოველებს
შორის? მისი წონა - ხუთი
კილოგრამია. ამიტომაც
შეიძლება მათი გაწვრთნა. ისინი
60-მდე ბრძანებს იმპასოვრებენ.

ბავშვებმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნიეს და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. მშვიდი ძილი უსურვეს ერთმანეთს. ისინი მალევე გაუჩინარდნენ სიბნელეში.

ერთი კვირის შემდეგ ტყუპები ტალი და კალი დაუდის სანახაურად მივიდნენ.

— დაუდი, იცი, ვინ დაავადდა ყვავილით? ჩვენი ბიძია მუკამუ, — თქვა კალიმ. — ის ძალიან ცუდად არის.

— რა დასანანია, რომ მან სერიოზულად არ მიიღო ჩვენი გაფრთხილება! — თქვა ტალიმ.

— ბუხუმაც ხომ არ იღო ყურად რჩევა, — შეეპასუხა გულუ, — თუმცა ისეთი არაფერი დაშავებია.

— რას ამბობ გულუ! — თქვა დაუდიმ. ის, რომ კინაღამ დაიბრჩო, რომ ნეკნები დაემტვრა და დალილავებული იყო — არ არის სერიოზული რამ?

ტემბოს გაეცინა:

— ჰო, იმჯერად ბუხუ გადარჩა, მაგრამ თუ ის ისევ უგულვებელყოფს განგაშის სიგნალს, მერე რა იქნება?

— მერე ვეღარ გადარჩება, — უპასუხა დაუდიმ.

— ღმერთი ძალიან მომთმენია. მაგრამ თუ ჩვენ არ

მოვისმენთ მის რჩევებს იმის შესახებ, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არ შეიძლება, თავადვე ვიქნებით დამნაშავენი იმაში, რაც დაგვემართება.

— გაფრთხილებებიც წერია ბიბლიაში? — იკითხა მგოგომ.

— ბევრი! ისინი მკაფიო და ცხადია. ბიბლიაში შეგიძლიათ წაიკითხოთ ისტორიები, რომლებშიც საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებმაც ყურად არ იღეს ღმერთის გაფრთხილებები. იქ ნათქვამია იმის შესახებაც რა დაემართათ მათ შედეგად. თუმცა იქ არის ასევე ისტორიები ძლიერ ადამიანებზე, რომლებიც უსმენდნენ ღმერთს და ასე ატარებდნენ ცხოვრებას.

სანახებლო ჩვენა

ყურადღება მიაქციე ღმერთის გაფრთხილებებს და თავიდან აირიდებ მრავალ უსიამოვნებებს.

რეზუსი



წაიკითხე ბიბლიური სახელები

ნ ნ რ

ღ ია

შეადგინა და დახატა ე. მ.

ლა ბ
ნი



უ მ
მი

ნ თ
თი

უჩულო ტაქსია

პარკოსანი
ძალღურ-
ძენასებრთა
ოჯახის
მცენარეა,
ისევე როგორც
კარტოფილი
და პომიდორი.
როგორც
წესი ესენი
არიან მრავალ-
წლოვანი
ბუჩქნარები
ან ნახევრად-
ბუჩქნარები.

ტიმოთესთვის ყველაზე საყვარელი საგანი სკოლაში იყო ისტორია. მას თევზაობაც უყვარდა. ამაში ის მთლიანად თავის პაპას ჰგავდა. პაპა ბევრს კითხულობდა, კარგი მახსოვრობა ჰქონდა და ხშირად უყვებოდა შვილიშვილს საინტერესო ამბებს.

ერთხელაც ტიმოთე და პაპა კვლავ გაემზადნენ სათევზაოდ. იმ ტბამდე, სადაც ისინი ჩვეულებისამებრ თევზაობდნენ ხოლმე კილომეტრნახევარი იყო. ტიმოთეს ახარებდა, რომ ისევ პაპასთან უნდა ყოფილიყო, იმედოვნებდა, რომ ისევ მოისმენდა საინტერესო ისტორიას.

— სადილად გატარებული წიწკა მოვამზადე, — უთხრა დედამ ტიმოთეს. — მაგრამ თუ დაგაგვიანდებთ, თქვენვე მოგიწევთ მისი შეთბობა, ვინაიდან სადილის შემდეგ დეიდა ანას მონახულებას ვაპირებ საავადმყოფოში.

პაპამ და ტიმოთემ აიღეს ანკესები, სატყუარები და დაადგნენ გზას.

— დედაშენის ნათქვამმა რაღაც გამახსენა; მინდა მოგიყვე ერთი საინტერესო ისტორია. ეს ისტორია წიწკასთან არის დაკავშირებული, — თქვა პაპამ. — სადღაც წავიკითხე, რომ პირველი ევროპელი, ვინც პირველად ნახა მწარე წიწკა, იყო კოლუმბი. მან 1493 წელს გემო გაუსინჯა ჰაიტიზე ადგილობრივი ნაყოფებისაგან მომზადებულ მწარე სოუსს. ამის შესახებ კოლუმბმა ჩაწერა თავის დღიურში. თუ გსმენია იმის შესახებ, როგორ იწვნიეს ერთხელაც ევროპელმა დამპყრობლებმა საკუთარ თავზე წიწკის მწვავე თვისებები?

ტიმოთემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ეს 1532 წელს მოხდა, მდ. ორინოკოსთან. ის ზომ იცი, რომ კონკისტადორები — ინდიელთა მიწების დამპყრობლები — ხშირად აწყდებოდნენ ადგილობრივი ტომების წინააღმდეგობას. მაგრამ ცეცლსასროლი იარაღის წყალობით, ბრძოლაში როგორც წესი დამპყრობლები იმარჯვებდნენ. ერთხელაც ინდიელ მეომრებს, რომლებიც მშვილდებით იყვნენ შეიარაღებულნი, ბრძოლის დაწყების წინ გამოეყო რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ხელში სინები ეჭირათ და ამ სინებზე გავარჯარებული ნახშირები ელაგა. ისინი უშიშრად უახლოვდებოდნენ კონკისტადორებს და გზად ამ ნახშირებზე რაღაც ფხვნილს ყრიდნენ. როცა ქარმა ესპანელების მხარეს დაუბერა, უცნაური რაღაც დაემართათ მათ. ჯარისკაცებს მოულოდნელად თვალებიდან ცრემლები წასკდათ, ცემინებამ და ხველებამ მოშალა მათი რიგები, მათ ადარ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. სწორედ ამ დროს შეუტიეს ინდიელებმა. ალბათ ხვდები რაც მოხდებოდა შემდეგ! გავარჯარებულ ნახშირებზე ისინი წვაოდნენ დაფქვილ წითელ წიწკას! ამ დროს გამოიყოფებოდა მწვავე, მძაფრი ნივთიერება, რომელმაც გააღიზიანა დამპყრობლების პირის, ყელისა და ცხვირის ლორწოვანი გარსი.

— აი ამბავი! — გაუკვირდა ბიჭს. — ასეთი ტაქტიკის შესახებ არასოდეს მსმენია!

— ჰო, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამო, ადამიანები ხშირად მზად არიან გამოიყენონ ის, რისი გაკეთებაც ხელწიფებათ.



ნახატი ა. ვ.



ჰერკოსუნა სუნაჰ

ჩილის მწარე წიწაკა და ტკბილი ბულგარული წიწაკა, ერთი ფართო ოჯახის, ბოსტნის წიწაკების, წევრები არიან. წიწაკის 500 სახეობის ნაყოფები არა მხოლოდ სიმწარით, არომატულობითა და გემოთი განსხვავდებიან, არამედ ფორმითაც. წიწაკა შეიძლება იყოს გრძელი და მრგვალი, მსხლისნაირი, კონუსისებრი, სწორი და მოხრილი. ბულგარული წიწაკა მსხვილი, სქელი, პრაქტიკულად ოთხწახნაგოვანი ნაყოფით (მას „პაპრიკასაც“ ეძახიან)—განსაკუთრებით გავრცელებული ჯიშია. მას საკვებად იყენებენ ნელადა, მარინირებულად, გამომცხვარი სახით, მოხარშული და შემწვარი სახით. მისგან ამზადებენ წიწაკის პასტებს, სოუსებს, საკაზმებს, კეტჩუპს. სანელებლად ჩვეულებრივსაძებრ იყენებენ დაფქვილ წითელ მწარე წიწაკას.



ქონიანს სუნაუაზი

ჩინაკის ისტორიიდან

წითელი წიწაკა ითვლება ყველაზე ძველ კულტივირებულ ბოსტნეულად ამერიკაში. პარკოსანი წიწაკის სამშობლოდ, უფრო სავარაუდოდ მიიჩნევა მექსიკისა და გვატემალის სუბტროპიკული რაიონები, სადაც ის შინაურ კულტურად გადააქციეს მაიასა და აცტეკების ტომებმა. ისინი მწარე წიწაკის ნაყოფებს მარილის ნაცვლად იყენებდნენ, რომელიც მათთვის ნაკლებად იყო ცნობილი. ტკბილი წიწაკა კი გამოიყენებოდა, როგორც ბოსტნეული.

კარიბის კუნძულების მკვიდრებისგან განსხვავებით, რომლებიც მწარე წიწაკას ხილად თვლიან და ისევე მიირთმევენ, როგორც ვაშლს, ჩვენ არ ვართ მიჩვეულები ჩილის ცეცხლისებურ სიმწვავეს. ევროპელებისთვის ჩილის ჭარბი გამოყენება შეიძლება სახიფათო იყოს საჭმლისმომწელებელი სისტემისთვის და შეიძლება შინაგანი დამწვრობაც კი გამოიწვიოს.

საინტერესო ფაქტები



ფრინველებს მშვიდად შეუძლიათ კორტონ მწარე წიწაკა, ვინაიდან არ რეაგირებენ კაპსაიცინზე, რომელიც ადიქვამს სიმწარეს. ამასთან ერთად იმ მარცვლებს, რომლებიც გაფლიან ფრინველების საჭმლისმომწელებელ სისტემას, კვლავ შეუძლიათ დაიწყონ ზრდა ახალ ადგილზე.

ევროპაში წითელი წიწაკა შემოიტანეს კოლუმბის ექიმებმა. თავიდან ის მოჰყავდათ, როგორც სამკურნალო მცენარე, თუმცა მალევე ეგზოტიკური მცენარე მოხდა სამზარეულოში და დაიწყო მისი გამოყენება სანელებლად. XVI საუკუნის დასაწყისიდან, წიწაკა მთელ ევროპაში გავრცელდა და ყველა ქვეყნის სამზარეულოებში დაიღო ბინა.



პერუსა და ჩილის ტერიტორიაზე თითქმის ყველგან პოულობენ ძველ საფლავებს მუმიებით, რომლებსაც ჩაყოლილი აქვთ გამოძმრალი პარკოსანი წიწაკები. ეს არც არის გასაკვირი, რადგან წიწაკა ფლობს არაჩვეულებრივ ბაქტერიების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკურ თვისებებს.

მ. ც.

23. საით მივყურავთ მესაჭევ?

ჩვენი სახლის გვერდით მდებარეობს ლამაზი პარკი, მასში კი მცირე ზომის ტბორია. ამასწინათ ვსეირნობდით პარკში და მე შევნიშნე, რომ ტბორის პირას შეკრებილები იყვნენ ბიჭები, რომლებიც წყალში პატარა გემებს უშვებდნენ. ბევრ მათგანს თეთრი აფრები ჰქონდა, ერთ-ერთი კი რადიოთი იმართებოდა.

„საით მივყურავთ?“ — ვიკითხე, ბიჭებს რომ მივუახლოვდი. „არსაით, — მხრები აიჩეჩა ერთმა, უფროსმა, — უბრალოდ გვანტერესებს როგორ ცურავენ ისინი.“ — „დიდებთანაც ასეა — გავიფიქრე მე, — მიცურავენ, არკი იციან სად. მიზანი არა აქვთ.“


საით მიდის ქრისტიანობის ისტორია? არის ამ გზაზე მიზანი? მათთვის, რომლებიც ვერ ხელავენ შემოქმედის წარმმართველ ხელს, ყველა მოვლენა შემთხვევითობად აღიქმება, მაგრამ მათთვის, ვინც იცნობს უფალს, ყველაფერი ჰარმონიულადაა.

ქრისტიანობა შემთხვევით არ გაჩენილა. მრავალი საუკუნის მაძილზე უფალი აშხადებდა ადამიანებს ქრისტეს მოსვლისათვის, რომელმაც დაიწყო ეკლესიის, თავისი სასძლოს, შექმნა. იმ დროიდან ისინი, ვინც რწმენით იღებს იესოს მიერ გაღებულ მსხვერპლს, უერთდება ქრისტეს სხეულს, რომელიც რაოდენობრივად იზრდება და ხარისხობრივადც, „თავისი თავის აღსაშენებლად სიყვარულში,“ როგორც წერდა მოციქული პავლე (ეფ. 4:16). სხვა სიტყვებით, ქრისტიანობა ვითარდება, მას აქვს მიზანი — ეშხადება კრავთან საქორწინოდ და დგას სრულქმნის გზაზე. ის ღმერთთან უნდა დამკვიდრდეს! ამ მიზნისაკენ თავისი ეკლესია მის თავს — იესოს მიჰყავს.

დღეს ყოველი მესამე ადამიანი დედამიწაზე — ქრისტიანია. და თუმცა ქრისტიანობა ძალზე დავოფილია — არსებობს ასეულობით ქრისტიანული ეკლესია, ჯგუფი, მოძრაობა, რომლებიც კამათობენ ერთმანეთთან და არ აღიარებენ ერთმანეთს, — ამან არ უნდა შეგვაცბუნოს. უფალმა იცის თავისიანები და ჩვენი განსასჯელი არ არის, ვინ არის ჭეშმარიტი ქრისტიანი და ვინ არა.



თუ უფალი კიდევ გააგრძელებს სიცოცხლეს დედამიწაზე, როგორი იქნება ქრისტიანობა? სწავლულების პროგნოზებით 2050 წლისთვის დედამიწაზე ცხრა მილიარდი ადამიანი იცხოვრებს, მათგან სამიდან ხუთ მილიარდამდე ქრისტიანი იქნება. რაოდენობრივად ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ განდება მსოფლიო უფრო ქრისტიანული? საეჭვოა. უკვე დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც ხშირად უწოდებენ პოსტქრისტიანულს, ანუ „ქრისტიანობის შემდგომ დროინდელს.“ ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება მხოლოდ გარეგნულად არის ქრისტიანუ-



ლი. სინამდვილეში ეს წარმართული საზოგადოებაა ქრისტიანული წარსულით, ხოლო ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე სუფთად წარმართულში.


როცა ქრისტიანობა მტრულ გარემოში ცხოვრობდა, ნათელი იყო, ვინ იყო ქრისტიანი და ვინ არა. ახლა, როცა ქრისტიანული ფასეულობები საერთო საკაცობრიოდ არის აღიარებული, ყველა ზღვარი მოშლილია. ახლა ყველას თავისი სიმართლე აქვს, და ქრისტიანებს გაცეცხლებები უყურებენ, როცა ისინი აცხადებენ, რომ ღმერთისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ იესო ქრისტეზე გადის. თუმცა ეს ერთადერთი სწორი პასუხია. ისევე როგორც მათემატიკაში: ამოცანის ბოლოს ყველას შეუძლია დაწეროს თავისი პასუხი, მაგრამ სწორი მხოლოდ ის იქნება — რომელიც სახელმძღვანელოს ბოლოს არის. ამიტომაც ქრისტეს უნიკალურობის გაცხადება და ნამდვილ ქრისტიანად ყოფნა დღეს, როცა ირგვლივ ყველა თავს ქრისტიანად მიიჩნევს, ძალიან ძნელია. ბიბლიის ბოლოს ნაჩვენებია ქრისტიანობის ისტორიის დასასრული — კრავის ქორწინება ეკლესიასთან, თავის სასძლოსთან, რომელმაც თავი გაიმზადა თავისი უფლისთვის.

ბოლო წერტილს ქრისტიანობის ისტორიაში დასვამს ის, ვინც ეკლესიის ხომალდი დროის უკიდევანო ზღვაში გაუშვა. მენიხბეები კამათობენ ერთმანეთთან, ხანდახან სხვადასხვა მხარეს უსვამენ ნიჩბებს და ამასთან იფიქრებენ იმ მიზანს, რომელსაც უნდა მიადწიონ. იმ „შერეკილებს“ კი, რომლებიც მიუთითებენ მათ ხომალდის დანიშნულებაზე, დაუნდობლად ყრიან გემბანიდან. თუმცა, ამისდა მიუხედავად, უზენაესი, რომელიც ამ ყოველივეს თავისი მიზნისათვის იყენებს, იმდენად ბრძენი და ყოვლისშემძლეა, რომ იმ ხომალდს, რომელიც ჩაუშვა ზღვაში, აუცილებლად მიიყვანს საუკუნო სავანეების მყარ სანაპიროსთან, მენიხბეებისა და დაუდევარი მგზავრების გასაკვირად.

ქრისტიანობის ისტორია დასასრულს უახლოვდება. 20 საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ხსნის კიდობანი (ქრისტეს ეკლესია) გაუდგა გზას, და დღეს მრავალი მქადაგებელი, ანუ ღვთის მაცნე, ისევე როგორც ანძაზე მდგარი დამკვირვებელი, იძახის: „დილის აშლილ ნისლებს შორის ვხედავ მშობლიურ სანაპიროს! ახლოა გზის დასასრული!“

—მესაჭე! ახლოა გზის დასასრული? კიდევ დიდხანს უნდა ვიცუროთ?
— ახლოა, ახლო — ისმის პასუხად.

ნახატი ა. ვ.



19



მინდობის ათვისება

მომკვლეები
ნამკვლეებით მკიან
ქერს. იპოვე ქერის
მინდორი



მოჭრილ ქერს
კრავდნენ ძნებად.
იპოვე 2 ძნა.



მარცვლეულის
სალეწის (კვერის)
დახმარებით
მარცვლეულს
აცალკვევდნენ
ძნებისგან. ხედავთ
ბავშვებს კვერზე?



გალეწილ ქერს
ანიავებდნენ:
ცხრილებით
აიჭნევდნენ
ხოლმე ჰაერში,
რომ ნიავს წაეღო
ბზე. იპოვე ქალი,
რომელიც ანიავებს
მარცვლეულს.



მოსე ვერ მოეწყო ქანაანის დაპყრობას. მან
თავის მემკვიდრედ გაბედული ახალგაზრდა
მეომარი იესო ნავეს ძე დანიშნა, რომელმაც
ისრაელი შეიყვანა ქანაანში.

ისრაელიანები გახდნენ იმ მიწის მკვიდრები,
რომელიც ალუთქვა მათ ღმერთმა.



ყურძნის მოსავალი კარგი რომ
ყოფილიყო, ვაზს სხლავდნენ
ქვის დანებით. იპოვე ორი
კაცი, რომლებიც აჭრიან ვაზს
ყლორტებს.



იპოვე ორი ბავშვი,
რომლებიც
აგროვებენ
ბარდას.



ხილის ბაღებს ხანდახან
დაეცემოდნენ ხოლმე
დამანები. ხედავთ ორ
დამანს?





სელს სახურავებზე შლიდნენ. მას შემდეგ რაც ღეროები ლპებოდა, რჩებოდა მხოლოდ სელის ბოჭკოები. იპოვე ქალი, რომელიც შლის სელს.



იპოვე ქალი, რომელიც რწყავს ბაღს.



იმისათვის რომ ლეღვი დიდი ხნის მანძილზე ყოფილიყო საკვებად გამოსადეგი, მას აშრობდნენ. იპოვე ქალი, რომელიც ალაგებს ლეღვს.



წყალს ჭიდან იღებდნენ. იპოვე ქალი გატეხილი დოქით.



პურს თიხის ქურები აცხობდნენ, რომელსაც სკის ფორმა ჰქონდა. იპოვე ბიჭი პურით ხელში.



ისრაელიანებს განსაკუთრებულ შიშს მძარცველი - მიდიანელები ჰკვირდნენ. იპოვე სამი მიდიანელი მზვერავი.



იპოვე მინდორში მომუშავე კაცი, რომელიც ჩრდილში ისვენებს.



ბოსტნეული კარგად რომ გაზრდილიყო, მიწა სარეველებისაგან უნდა გაწმენდილიყო. იპოვე 3 თიხი, რომლებითაც მარგლავენ.



ხედავ თხას ზეთისხილის ხეზე?




ქურდები იპარავენ ყურძენს. იპოვე 3 საყარაულო კომკი ყურძნის დასაცავად.



ნახატი პ. კ.

ხოსვოხი

გამოიყვანე კროსვორდი და ვერტიკალურად გამოყოფილ უჯრებში წაიკითხავ იმ ქალაქის სახელს, რომელიც საქმეების წიგნშია მოხსენიებული.



- ერთ-ერთი თორმეტთაგანი, რომელიც არ იყო მოწაფეებთან ერთად, როდესაც მათ გამოეცხადა იესო მკვდრეთით აღდგომის შემდეგ (იონ. 20:24).
- რა გააკეთა იესომ მოწაფეებთან ერთად სიკვდილამდე? (ლუკ. 22:19-20).
- ვინ მოიწონა სტეფანეს მკვლელობა? (საქ. 7:59-60; 8:1).
- «ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, _____» (საქ. 2:21).
- რა მოუტანა სიმონ ჯადოქარმა მოციქულებს, როცა მოისურვა ღმერთის ნიჭის ყიდვა? (საქ. 8:18-20).
- ვინ დაასვენა იესოს სხეული თავის ახალ სამარხში? (მათ. 27:57-60).
- ქრისტეს ფარული მოწაფე (იოან. 3:1-2).
- ვინ განკურნეს პეტრემ და იოანემ ტაძრის კართან? (საქ. 3:1-8).
- ვინ იყო ჯვარცმული იესოსთან ერთად? (მათ. 27:38).
- რას ნიშნავს «გოლგოთა»? (მათ. 27:33).

შეადგინა ნ. მ. 11 წლის



იცი თუ არა..
რომ მარტორქის-ჩიტის დედალი ჩიტი, მას შემდეგ რაც დებს კვერცხებს, ხდება თავისივე აშენებული ბუდის „ტყე“? ის ბუდეში ჩასაპროსს აკეთებს თბილი, რომელიც მამალს მოაჭებს მასთან, და მხოლოდ მცირე დიობს ტოვებს იმისათვის, რომ ამ დიობის მეშვეობით მამალმა ის და ბარტყები მოამარაგოს საკვებით. ამგვარად დედალი ჩიტი და ბარტყები დაცულები არიან მტაცებლებისგან.

ნახატი ა. მ.



ჭიანჭველაჭამია

ველის ხელიკი

ჯავშნიანი მეომარი

ო. მ.

ქვემოთა და ზემოთა

რომელმა საშინელმა მხეცმა შემუსრა ჭიანჭველების ბუდის ქვასავით მაგარი კედლები და დიდი ხერელები გააკეთა იქ? ხეების ტანი დაკაწრა ხარდამცემი ბრჭყალებით და მიწაც მოთხარა ირგვლივ? სქელი ფესვები წვრილი ძაფებივით დაწყვიტა? რა არის ის? მეშინია, ძალიან მეშინია!

არაფერია საშიში! ეს მხოლოდ გიგანტური ჯავშნიანია (*Priodontes Maximus*), რომელიც მხოლოდ სიბნელეში „მუშაობს“ და არ ტოვებს თავის თაშმესაფარს დღისით. მაგრამ როგორ მოახერხა, რომ მან თავის შემდეგ ასეთი ნანგრევები დატოვა? აი ასე: ჭიანჭველების ბუდე გახვრიტა, შეყო მასში თავისი წვრილი მილისმაგვარი დინგი, გამოყო პირიდან თავისი გრძელი მწებვარე ენა და მოატარა ბუდის თითოეულ კუთხეში. ყველა მწერი, რომელიც მიეკრა მის ენას, შემდეგ მის პირში აღმოჩნდა. ასეთი გემრიელი ვახშმის შემდეგ კი მიწაც მოთხარა და ხეებიც დაკაწრა...

გიგანტური ჯავშნიანი — ყველაზე დიდა თავის მსგავსებს შორის. მისი სხეულის სიგრძე მეტრ-ნახევარს აღწევს, წონა 60 კგ-ს. წარმოიდგინეთ: ბრჭყალები მისი წინა კიდურების მესამე თათებზე 20 სანტიმეტრს აღწევს! ეს ყველაზე გრძელი ბრჭყალებია მთელს დედამიწაზე!


ჯავშნიანები—ერთადერთი მხეცები არიან დედამიწაზე ტყავის ჯავშნით! მათი ჯავშანი მო-

გვაგონებს მეომრების ჯავშანს, თუმცა ძალიან მოძრავია და დაყოფილია მრავალრიცხოვან სეგმენტებად. მხეცის ნახევარმეტრიანი კუდიც ჯავშნით არის დაფარული. გაგრძელებულ დინგს შეიძლება ჰქონდეს ასამდე უკან გადახრილი კბილი. ხმელეთზე მცხოვრებ ძუძუმწოვრებს შორის გიგანტური ჯავშნიანები პირველ ადგილზე დგანან კბილების რაოდენობით! ისინი ტერმიტებით და მათი მატლებით იკვებებიან — იშვიათად ჭიანჭველებით, ობობებით, მატლებითა და მძორით.

გიგანტური ჯავშნიანები ცხოვრობენ არგენტინის ჩრდილოეთში, ბრაზილიაში და გაიანაში. არჩვენ ნოტიო ჯუნგლებს და ღია ველებს. მტრები არ ჰყავთ ბევრი, მხოლოდ პუმა ან იაგუარი. გიგანტური ჯავშნიანების მთავარი გამანადგურებელი პირველ რიგში ადამიანია: მასზე ნადირობენ ძირითადად ხორცის გამო, ასევე ანადგურებენ ნათესების დაზიანების გამო.

საფრთხეს რომ იგრძნობს ჯავშნიანი მიწაში ძვრება. ერთ-ერთი ასეთი შეშინებული ჯავშნიანი ერთხელაც ისე გამალებული მუშაობდა თავისი ბრჭყალებით, რომ ერთ წუთში ამოთხარა ასფალტი გზაზე და დაიძალა მიწაში!

აი ასეთები არიან ეს ჯავშნიანი მეომრები! თუმცა ცოტათი მშიშრებიც.



ბურთისებრი ჯავშნიანი

გიგანტური ჯავშნიანი

კუ

ჯავშნიანი თაგვი

ნახატი ნ. ჟ.

იესოს შესვლა იერუსალიმში

ერთხელაც, როცა იესო იერუსალიმში შედიოდა, ხალხი სიხარულითა და შეძახილებით ხვდებოდა მას. ისინი თავიანთ სამოსელს და ხეების რტოებს უფენდნენ მას გზაზე. ფოთლებში ჩაწერილი სიტყვები დაალაგე სწორი თანმიმდებრობით და გაიგებ, როგორ აქებდნენ და აღივებდნენ მოწაფეები იმეროს.



შეადგინა და
დახატა ო. გ.

გაგოიცხანი!

რომელი ბიბლიური ისტორიაა აქ გამოხატული? სცადე შენც მისი დახატვა, ოღონდ ისე, რომ ფანქარი არ აიღო ქალაღიდან.



ნახატი ე. ნ.



იხინი ჟვანს სჭიხება

ესო და მოწაფეები მიდიოდნენ იერუსალიმში. როცა იხინი მივიდნენ ბეთბაგემში, ზეთისხილის მთასთან, ესომ გაგზავნა ორი მოწაფე და უთხრა: „წადით სოფელში, რომელიც თქვენს წინაა, და მაშინვე იპოვით დაბმულ ვირს და ჩოჩორს მასთან ერთად. აუშვით და მომიყვანეთ...“ (მათ. 21:1-2).

ნახატი ე. მ.




ა. ბ. (10 წლის) და ვ. ბ. (7 წლის) უჩიბიბიბი



ბ. ბ. 8 წლის, ბიბიბი




ვ. ბ. 11 წლის, ბიბიბი



ბ. ბ. 8 წლის, ბიბიბი


ბასუბები 24-25 გებრდებისა:
5. ბიბის ბიბისებბ



ბერის ბინდორი 1
ბიბები 2, 3
ბაბუბები ბებრბე 4, 5, 6
ბალი ბნიბებბ ბარბებბლს 7
ვბბის ბსბებბელი ბბებბი 8, 9
ბაბუბები, რომლებიც ბგრობებბენ

ბარბბს 10, 11
ბბბბბბბი 12, 13
ბბბბბი 14, 15, 16
ბბბ ბებბბბბბბის ბებბე 17
ბბბბბბბბ ბბბბბბბი 18, 19, 20
ბბბბბბბი ბუბბბ 21

ბიბბბბბბი ბბბებრბბბბი 22, 23, 24
ბიბბი ბუბბბბი 25
ბბბბ ბბბბბბბი ბბბბბბ 26
ბბბბ, რომელიც ბბბბბბ ბლლლლს 27
ბბბბ, რომელიც ბრბბბბბ ბბბლს 28
ბბბბ, რომელიც ბფენს ბებლს 29



ი. ს. 14 წლის, უხაინა



ა. ს. 11 წლის, უხაინა



ლიზი ბუბუნაშვილი 9 წლის, სანჯითველი

საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

ვალდემარ ბენსელი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:

LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340, 70809-Kotmal, GERMANY.

ტან: 49 711 839908-23;

ფანსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: lukhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო ჟურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა „საუნაწი“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

კატეგორია:

გვ. 3 ბიბლიური გამოცანები:

1 ნოე. 2. დანიელი. 3. იოანე ნათლისმცემელი.

გვ. 15. რებუსი: 1. ნაბუქოდონოსორი. 2. აბდია. 3. ლაბანი. 4. ნაუმი. 5. ნათანი.

გვ. 22 პროსპორდი: პორიზონტალურად: 1. თომა. 2. პასექი. 3. საგლე.

4. გადარჩება. 5. ფული. 6. იოსები. 7. ნიკოდემოსი. 8. ხეიბარი. 9. ავაზაკი.

10. თხემი. ვერტიკალურად: თესალონიკე.

გვ. 24: იმსოს იმრუსალიშვი შმსკლა: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი მეფე!“ (ლუკ. 19:38).

გვ. 24 გამოიცანი: აბრაამი და ისააკი მიდიან მთაზე მსხვერპლის შესაწირათ. აბრაამის გამოცდა.



ISSN 1987-720X



9 771987 720007